პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 15 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 525 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## წითელი გაწვევა ბრწყინვალეთ ჩატარდა.

1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის ჯარის რიგებში გაწვევა უახლოვდება დასასრულს. კიდევ რამოდენიმე დღე და ყველა გასაწვევი ახალგაზრდები იქნებიან ჩვენი ჯარის რიგებში.

სწორედ რომ ყველა, რადგან წლევანდელი მობილიზაცია ჩატარდა იშვიათი აღფრთოვანების და ერთსულოვნობის ნიშნის ქვეშ.

არც ერთი დეზერტირი, არც ერთი წარბშეხრილი.

საქართველოს ყოველ კუთხიდან მოდის მხოლოდ ერთი ცნობები—ახალგაზრდობა მიეშურება წითელი ჯარის რიგებში აღფრთოვანებით და უმაგალითო ხალისით. მრავალი მათგანი ექიმების შეუმოწმებლივ მოითხოვენ მიღებას. გასაწვევ პუნქტებზე მოდიან აღნიშნულ დროზე ადრე. არის მრავალი შემთხვევები, როდესაც ექიმების მიერ ჯარისათვის უვარგისად მიჩნეული ახალგაზრდა ვედრებით შესჩივის დაუყონებლივ მიღებაზე კომისიებს.

არა მარტო ახალგაზრდობა, თვით მოზრდილები, მოხუცები ბებრებიც და მთელი მშრომელთა მასა დიდის სიხარულით ხვდება თითეულ მიტინგს, თითეულ კამპანიას გამართულს მობილიზაციის მიზნით. რას გვეუბნება ჩვენ ყოველივე ეს?

უპირველეს ყოვლისა მას, რომ მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი ნდობით და სიყვარულით ხვდება თავის მუშურ-გლეხური ხელისუფლების ყოველივე ნაბიჯს. მეორე ის, რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა სავსებით შეიგნეს წითელი ჯარის დიადი მნიშვნელობა და მისი არსებობის აუცილებლობა.

გლეხი, რომელიც ცრემლით და გოდებით აცილებდა მეფის ჯარში თავის პირმშო შვილს, დღეს სრული დამშვიდებით და სიხარულითაც უშვებს მას წითელ ჯარში, რადგან მან იცის, რომ წითელი ჯარი მისი თავისუფლების, მისი მიწა წყლის, მისი მუშურ-გლეხური მთავრობის ერთგული დამცველი და ფხიზელი გუშაგია.

თითეულმა მშრომელმა დღეს იცის, რომ წითელი ყაზარმა არა სიძნელეს და ნაკლის ბუდეა, არამედ განათლების, ცოდნის და სინათლის კერაა.

როდესაც მუშა ან გლეხი გზავნის თავის შვილს წითელ ჯარში, მათ კარგად გაითვალისწინებული აქვთ ის გარემოება, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ის დაუბრუნდება მას კულტურულად აღზრდილი, პოლიტიკურად შეგნებული მოქალაქე.

ყოველივე ეს კარგად იციან უკვე მათ, რადგან წითელ ჯარმა თავის მუშაობით დაუმტკიცა და დაარწმუნა ამაში ისინი.

ამიტომ სრულიად გასაგებია ჩვენთვის მობილიზაციის ასეთი ბრწყინვალე შედეგი, რომლებიც გვაძლევენ საუკეთესო გარანტიას მისა, რომ ჩვენ შევქმნით უძლეველ წითელ არმიას, რომელიც კისერს მოუგრეხს ყველა მათ, ვინც გაბედავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის თავისუფლების და უფლებების შელახვას.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ჯარს!

---

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

### თათბირი ფასიან ქაღალდების მფლობელებთან.

დღეს საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები ითათბირებენ ინგლისელ მევალეებთან. ალბათ ამ თათბირზე გამოირკვევა ის თანხა, რომლის გადახდასაც მიიღებს თავის თავზე საბჭოთა მთავრობა. შემდეგ გამომუშავებული იქნება ის წესი, თუ როგორ მოხდება თანხების გადახდა. ამ წესისა და საშუალებების შესახებ მსჯელობას გამართავენ ოფიციალურ სხდომაზე.

#### ლიტვინოვის „ბიოგრაფია“.

„მორნინგ პოსტმა“ მოათავსა ლიტვინოვის ბიოგრაფია, რომელიც მას ამოუკრეფია საიდუმლო პოლიციის ძველ არქივებიდან და სწერს, რომ „ლიტვინოვი იყო კრიმინალური ტიპის უნამუსო ანარქისტი“ო. გაზეთი წინადადებას აძლევს ლიტვინოვს, თუ შეურაცხყოფად მიიღებს ამას მიმართოს სასამართლოს.

#### ხოჯსონის ამბები.

„მორნინგ პოსტი“ არა სცხრება და მოყავს ციტატები ხოჯსონის მოხსენებიდან უცხოელების მდგომარეობის შესახებ სსრ კავშირში.

---

დეპუტატ-სოციალისტის დაკარგვა.

„რომში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატ-სოციალისტ მატეოტის დაკარგვამ, რომელიც იტალიის პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა ენერგიული კრიტიკით ფაშისტურ მთავრობის წინაალმდეგ. შემდეგი გამოსვლა დეპუტატ მატეოტის უნდა მომხდარიყო ხუთშაბათს.“

დეპეშებიდან.



„სასწაული“ იტალიის პარლამენტში.

---

## საეჭვო წყაროებიდან.

ამ ორი დღის უკან კონსერვატიულმა პრესამ აღადგინა თავის გაზეთების საშუალებით გალაშქრება საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ.

#### უარყოფენ თვითონვე.

ოფიციალური წყაროებიდან როსტას თანამშრომელს გადასცეს, რომ „მორნინგ პოსტის“ ცნობები არ არის ოფიციალური წყაროებიდან და რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაფერი იცის ხოჯსონის მოხსენების შესახებ. ამის გამო სწარმოებს გამოძიება.

#### „დეილი ტელეგრაფს“ წამოსცდა.

ამბობენ, რომ ეს ანტისაბჭოთა პროპაგანდა გამოწვეულია იმ მიზნით რომ გავლენა მოახდინონ ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკებაზე. ამას ადასტურებს ის გარემოება რომ „დეილი ტელეგრაფმა“ დასწერა: თუ საფრანგეთის ახალი მთავრობა დაუყოვნებლივ იცნობს ს. ს. რ. კ. მთავრობას მოლაპარაკება ლონდონში დაბრკოლდებაო.

## ს. ს. რ. კ.-ინგლისის სავაჭრო პალატა.

საბჭოთა და ინგლისის სავაჭრო პალატაში „არკოსის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ს. ს. რ. კ. ისე მომაგრდა მოკლე ხანში, რომ არც ერთ სხვა ქვეყანას არ შეეძლო ასე ჩქარა მომაგრებაო.

---

## საბჭოთა კავშირში.

### ამხ. რიკოვი საწარმოო კოოპერაციის შესახებ.

საწარმოო კოოპერაციათა რწმუნებულების საკავშირო თათბირზე გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობის ახალი პოლიტიკა კოოპერაციის მიმართ ნაწილობრივად ეხება საწარმოო კოოპერაციასაც. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა კერძო კაპიტალთან ბრძოლაში მეტად დიდია. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში სოფელი იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას მხოლოდ და მხოლოდ „კუსტარული“ ნაწარმოებით. ამ ჟამად კი სოფლის მოთხოვნილებათა 30 პროცენტს აკმაყოფილებს სახელმწიფო წარმოების პროდუქტები. ის შეხედულება, თითქოს მრეწველობის განვითარებით უნდა მოისპოს „კუსტარული“ წარმოება უსაფუძვლოა. ჯერ კიდევ მრავალი წლების განმავლობაში სოფელმა თავისი მოთხოვნილება ამით უნდა დაიკმაყოფილოს. ეს უკანასკნელი კი კოოპერატიულ ხასიათის მიღებით სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში უნდა შევიდეს ერთ შემადგენელ რგოლად.

კუსტარული წარმოება უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ ფორმაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისსა და ბაზრის შორის თავს ამოყოფს შუამავალი ანუ კერძო კაპიტალისტი.

#### პენსია ამხ. ბრუსილოვს.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ყოფილ წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორს ამხ. ბრუსილოვს, მისი მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და სს.რ.კ. წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო დაუნიშნა პერსონალური პენსია თვეში 300 მანეთი.

#### „საერთაშორისო ბავშვთა“ კვირა გადაიდო.

ახალგაზრდობათა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ივნისში მოწვეულ კონგრესის გამო, ბავშვთა „საერთაშორისო“ კვირა გადაიდო.

## ახალგაზრდათა კომინტერნის 4-ხე კონგრესის წინ.

ჩამოვიდენ მე-4-ხე კონგრესზე დასასწრებლად შემდეგი ქვეყნების დელეგატები: ამერიკიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, მონღოლეთიდან, ნორვეგიიდან, არგენტინიდან, ლატვიიდან და კანადიდან. ამ დღეებში ჩამოვლენ დელეგატები ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

---

## ამერიკა და სსრ კავშირი.

### აფერისტობა თუ რა უნდა დაერქვას.

კანადის სასამართლომ უნდა გაარჩიოს ს. ს. რ. კ. ოფიციალური აგენტის იაზიკოვის და კემბელის საქმე. კემბელი თავს უწოდებს „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ელჩს“ და განაგრძობს ვიზებისა და პასპორტების მიცემას იმ მოქალაქეთათვის, რომლებთაც სურთ ს. ს. რ. კ—ში დაბრუნება.

### პროტესტმა არ გასჭრა.

იაზიკოვმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქენი პასპორტებს უნდა ღებულობდნენ მხოლოთ ოფიციალურ წარმომადგენლობაში, მაგრამ კანადის მთავრობამ ყურადღებაც არ მიაქცია და უარი უთხრა იაზიკოვს საკონსულო მოვალეობათა უფლებაზე.

## ორ აზროვანი პოზიცია.

ჩამოსული საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია ელის კანადის მთავრობის პოზიციის გამორკვევას. წიგნები, რომლებიც მათ ჩამოიტანეს რუსეთიდან უნივერსიტეტებისათვის ჯერაც არ გაუნთავისუფლებიათ დამოჟნებს, იმ მიზეზით, რომ იქნებ პროპაგანდისათვის მოაქვთო.

### კიდევ ცრუ ელჩები.

ნიუ-იორკში, ვაშინგტონიში, მონრეალში დღემდე განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას უკრაინელი ცრუ ელჩები, რომლებიც იძლევიან ვიზებს, პასპორტებს და სხვა საბუთებს.

## ერთი მოწყობილი ხრიკი.

შეერთებული შტატების მთავრობამ გადაასახლა უკრაინელი ბელავუნსკი, გემების კომპანიამ ის არ მიიღო მგზავრათ, როგორც უპასპორტო. მაშინ პასპორტი მან მიიღო უკრაინის ცრუ საელჩოდან და ამის შედეგათ ბელავუსკი ჩაჯოვიდა ევროპაში.

### რაშია საქმე.

უწინ ამერიკელი ჩინოვნიკები არა სცნობდნენ უკრაინულ მოწმობებს და ეხლა კი სცნობენ.

## რესპუბლიკანური პარტია

რესპუბლიკანურმა პარტიამ კლივლენდის ყრილობაზე გამოიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც წმინდა რეაქციონური ხასიათისაა.

### საემიგრაციო კანონს ადასტურებენ.

თავის ახალ პროგრამაში რესპუბლიკანური პარტია ადასტურებს იმიგრაციის შესახებ კანონს, თუმცა ერთი სიტყვაც არ ახსენეს იაპონიასთან დამოკიდებულების შესახებ.

---

## დამოკიდებულება იაპონიასთან

### ამხ. კარახანის აზრი

ჩინური გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ამხ. კარახანმა სთქვა:

მე არ ვიცი როგორ გავლენას მოახდენს იაპონიას და საბჭოთა რესპუბლიკების შორის გამართულ მოლაპარაკებაზე მთავრობის შეცვლა ტოკიოში.

### ორივე ქვეყნისათვისაა საჭირო.

თანასწორი მეზობლური განწყობილება ერთნაირათ საჭიროა სსრკ და იაპონიისათვის. არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა მისცეს მეორეს კომპენსაცია თავისი ცნობის გამო.

### მეტს ვერ მიიღებს.

ჩვენ უარვყავით იაპონიის მოთხოვნილება კონცესიების შესახებ. ისე გამოდიოდა თითქოს ჩვენ უნდა მიგვეცა მისთვის კომპენსაცია, მაგრამ იაპონია უნდა დარწმუნდეს, რომ იგი ჩვენგან ვერაფერს მიიღებს მეტს, ვიდრე მიიღო იტალიამ ან ბრიტანეთმა.

## ჩვენც სარგებლობას ვეძებთ.

ჩვენ თანახმანი ვართ მივსცეთ იაპონელებს თანხმობა კონცესიების შესახებ, თუ ეს ჩვენთვისაც გამოსადეგი იქნება. საზოგადოდ არ უნდა წარმოგვიდგინონ ისეთი მოთხოვნილებები, რომელთა შესრულება მათ თითონ არ შეუძლიათ.

ჩემს მიერ გამოთქმულ აზრების წინააღმდეგ ჯერ არაფერი მსმენია იაპონელების მხრივ. უნდა ვიფიქროთ, რომ კატოს მეთაურობით შემდგარი მთავრობა შეუდგება მოლაპარაკების დაჩქარებით დასრულებას.

---

## საფრანგეთი

### რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩიეს.

საფრანგეთის ეროვნულმა ყრილობამ ვერსალში აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტათ დუმერგი, რომელმაც მიიღო 520 ხმა და პენლევემ კი 309.

### არჩევნები გართულდა

პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების გარშემო, უკანასკნელათ ძლიერ დაიხლართა მდგომარეობა. ზოგიერთი ჯგუფები მოითხოვდნენ დუმერგის კანდიდატურას მიუხედავათ მის მიერ უარის განცხადებისა. მემარცხენეების დელეგაციამ ინახულა დუმერგი, რომელმაც მათ განუცხადა რომ თუ წარმოდგენილ იქნა რეაქციონერების კანდიდატი ის მოხსნის თავისას, რათა გაიმარჯვოს რესპუბლიკანელთა კანდიდატმა და არ დანაწილდენ მემარცხენეთა ძალები. დუმერგის პასუხმა გამოიწვია ახალი წინადადებები, რომლის გამოც მიმართეს პენლევეს, რათა მას მოეხსნა თავისი კანდიდატურა. რომ სოციალისტებისათვის და რადიკალებისათვის მისაღები გახდეს მესამე კანდიდატი. პენლევე დასთანხმდა წინადადებას.

### გერმანული გაზეთების სიხარული.

საშუალო პარტიების და სოციალ-დემოკრატების გაზეთები აღტაცებით ესალმებიან მილიერანის გადაგდომას.

### ფრანგული პრესა არჩევნების შესახებ.

დუმერგის არჩევის გამო „ჟურნალი“ სწერს, რომ იგი მხარს უჭერდა პუანკარეს პოლიტიკასო.

### პოლიტიკური „სამართლიანობა.“

„ეკო დე პარი“ და „ფიგარო“ სწერენ, რომ დუმერგის პრეზიდენტათ არჩევა ეს არის პოლიტიკური სამართლიანობის დღესასწაულიო.

### კომპარტიის ორგანოს აზრი.

საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ჰიუმანიტე“ სწერს, რომ დუმერგის პრეზიდენტად არჩევა ნიშნავს მემარცხენეთა ბლოკის უკან დახევას.

### როდის გამოვა ახალი მთავრობა.

ამბობენ რომ ახალი მთავრობა გამოვა დეკლარაციით დეპუტატთა პალატაში სამშაბათსო.

### ჯერ არაფერს ამბობს.

ერრიომ განაცხადა გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში, რომ გერმანიის მიმართ იგი შეეცდება გააკეთოს ყოველივე შესაძლებელი დაახლოებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით მას არაფერი შეუძლია სთქვას ან რურზე და ან მიკუმის შესახებ.

---

# გერმანიაში

### გაფიცვის ეშინიათ

რეიხსკანცლერმა გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს მუშების და რკინისგზების სამმართველოს შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რათა თავიდან აცილებულ იქნას რკინის გზელთა გაფიცვა.

### მარკის კურსი ეცემა

ბერლინის მსხვილმა ბანკებმა გადასწყვიტეს მიიღონ დამოუკიდებელი ზომები მარკის კურსის კატასტროფიული დაცემის შესაჩერებლად.

### მრეწველობის შემცირება.

მაგდებურგიდან მოსული ცნობებით, მძიმე ფინანსიურ–ეკონომიური მდგომარეობის გამო დაიხურა კალიუმის წარმოების ქარხნების უმრავლესობა.

### ბერლინის პარტიტაგზე.

პარტიტაგის სხდომაზე 266 ხ[მით] უმრავლესობით 115 წინააღმდ[ეგ] სოციალისტებმა მიიღეს ... ვიდენ კოალიციაში ბურჟუაზი[ულ] მთავრობასთან.

### შელარ შეიძლება.

გერმანიის მთავრობამ შეატყ[ობი]ნა პარიზსა და ბრიუსელს, რომ „ტანი“, რომ რურის მრეწველ[ებ] არ შეუძლიათ იმავე პირობებ[ით] მიაწოდონ ნახშირი, როგორც აქ[ამ]დე ხდებოდა.

### შეთანხმება პატიმართა შესახებ

გერმანიის მთავრობასა და საფ[რანგეთის] მთავრობას შორის პა[ტი]მართა შესახებ მოლაპარაკების ... დგდა ასეთია. საფრანგეთის ციხეებ[ი]დან საოკუპაციო ტერიტორიის [ცი]ხეში გადმოიყვანენ 42 გერმან[ელ] პატიმარს, ხოლო ამდენივე საფრ[ან]გეთის ქვეშევრდომს განთავისუ[ფ]ლებს გერმანია თავის ციხეებიდან.

---

## ინგლისი და ინდოეთი.

### ინდოელთა გამოჩენილ მოღვაწეების მემორანდუმი.

ინდოეთის გამოჩენილ მოღვაწეთა მემორანდუმში, მიმართული ინდოეთის საქმეთა სამინისტროსადმი, შეცავს ასეთ განცხადებას: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერიდან ინდოეთის ცენტრალური საშინაურო სამმართველო უნდა ... როლის კაბინეტთან და პასუხისმგებელ ინდოეთის საკანონმდებლო კრ... ... ერთად. ქვეყნის თავდაცვა ... ხელში. თუ ... მისი პასუხისმგებლობა ... უნდა იქნეს შეკვეცილი ... ... თანხმობით ... პასუხისმგებ... ინდოეთის მთავრობა არ ... თავის ხელში ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

---

## იტალიაში.

### ფაშისტების მსხვერპლი.

რომიდან მოსული ცნობებით პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ დაკარგული დეპუტატი—სოციალისტი მატეოტი გახდა ფაშისტების შეთქმულების მსხვერპლი.

### პარლამენტის ოპოზიცია.

იტალიის პარლამენტის ოპოზიციამ გადასწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის სხდომებზე, სანამ დაკარგული არ აქნება მატტეოტის ბედი.

### ავტომობილით გაიტაცეს.

რომის წრეებში ამბობენ, რომ მატეოტი ალბათ ავტომობილით გაიტაცეს. რომში, მილანში და ფლორენციაში დააპატიმრეს რამოდენიმე პიროვნება.

### ოპოზიციამ ისარგებლა.

მიუხედავად იმის, რომ თვ[ით] ფაშისტებმაც დაგმეს მატეოტის გამტაცებლების საქციელი, ოპოზიციამ ეს ფაქტი მაინც ფართოთ გამოიყენა ფაშისტების წინააღმდეგ.

### კვალს მიაგნეს.

დღემდე არაფერი გამოირკვეულა მატეოტის დაკარგვის საიდუმლოებიდან. პოლიციამ დაიჭირა ავტომობილის ნომერი, გარაჟის პატრონმა სთქვა, რომ მასთან მისულა ერთი ფაშისტური გაზეთის რედაქტორის წერილით ვინმე ფილიპე ფილიპელი და უთხოვნია მანქანა. მიაკითხეს რედაქტორს, რომელსაც ასეთი წერილი მართალია მიეცა. შემდეგ ფილიპელი დააპატიმრეს საღამოზე, სწორედ მაშინ, როდესაც იგი მიემგზავრებოდა მილანში.

---

## სხვა და სხვა.

### აჯანყება ალბანეთ-ში.

ალბანეთის დროებითმა მთავრობამ ტირანში გამოაცხადა საალყო წესები.

### დამფუძნებელ კრებას იწვევენ.

ვალონიდან შემდგარი ალბანეთის ახალი მთავრობა იწვევს ალბანეთის დამფუძნებელ კრებას.

### ლონდონის გაფიცვა.

გუშინ ლონდონის მიწის ქვეშა რკინის გზებზე აღდგენილ იქნა მუშაობა 80 პროცენტით. ყველა სადგურები გაღებულია გარდა ორისა.

### ვაჭრობა ამერიკასთან.

საფრანგეთის სინდიკატის ნიუ-იორკის სააგენტომ ამერიკაში შეიძინა 30 მილიონი დოლარის ღირებული ბამბა.

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ,

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ!

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲡ—ᲙᲝᲛᲐᲜᲓᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲔᲑᲡ.

კავკასიის წითელდროშიან არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო გესალმებათ თქვენი დღესასწაულის დღეს. სკოლის წინაშე უდიდესი ამოცანაა—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ქართული ნაწილებისათვის წითელი მეთაურის შექმნა.

ახალგაზრდა მეთაურმა უნდა შეისისხლხორცოს და გამოიყენოს სამოქალაქო ომის გამოცდილება, რომ შექმნილ იქნეს საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასების შეიარაღებული ძალა.

წითელმა მეთაურმა წითელი არმიელი უნდა აღზარდოს ყველა საბჭოთა კავშირის მშრომელების ძმური თანამშრომლობისა და ერთიანობის შეგნების ნიადაგზე.

ერთგულად ემზადეთ, ამხანაგებო, ასეთი დიდი მუშაობისათვის.

არმიის მთავარ სარდალი **პუგაჩევი.**

სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრები: **ორჯონიკიძე. ელიავა. მიასნიკოვი**

არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი: **რატნეკი.**



ᲢᲧᲕᲘᲐ-ᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲖᲔ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

დღეს ჩვენი სკოლა დღესასწაულობს თავისი არსებობის 3—წლის თავს. მეტად მცირე დრო—მაგრამ მდიდარი თავისი წარსულით—აი სამი წელი, რომელმაც გადაიქროლა ჩვენი სკოლის თავზე. თავდადებული შრომა, დაუზოგველად ენერგიის ხარჯვა და მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადება, აი რა ახასიათებს მას. მუშურ გლეხური წიაღიდან, გამოსული მისი შემადგენლობა ბრძოლის დროსაც კი არ დასცილებია ამ უკანასკნელთ და სწორედ ეს გარემოება ანსხვავებს ამ სკოლას ძველი—მეფის დროის იუნკრების სკოლებისაგან.

სკოლა დიდი მიზნებისათვის არის მოწოდებული და ამას ის პირნათლად ასრულებდა და შეასრულებს.

დღეს სამი წლის არსებობის თავს ჩვენი სკოლა მუშებთან და გლეხებთან ერთად დღესასწაულობს. ეს საუკეთესო თავდებია მათი ერთმანეთისაგან განუყრელობის და სრულიერი ერთიანობის.

სამი წლის თავზე, ჩვენ, კურსანტებმა ფიცი უნდა დავდოთ რომ ერთგული დარაჯი ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლების. ჩვენზეა წითელი ჯარის აღზრდის საქმე დამოკიდებული მომავალში. ჩვენ ღირსეულად უნდა შევასრულოთ საბჭოთა ხელისუფლების ეს უდიდესი დავალება, და ლენინიზმის დროშის ქვეშ გავსწიოთ წინ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დასამყარებლად.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, წითელ ლაშქარს და მის უდიდეს ბელადს ლ. ტროცკის და წითელი ლაშქრის მომავალ მეთაურებს. გაუმარჯოს ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლას!

სამკომი **ჭკადუა.**

## ᲕᲐᲨᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ!

შესწყდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ქვემეხების გრიალი, გათავდა სამოქალაქო ომი და ჩვენი რესპუბლიკები შეუდგნენ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების, მის განახლების- გამოცოცხლების საქმეს.

სამოქალაქო ომებისაგან მიღებული წყლული ჯერ კიდევ არ მოშუშებულა. მოლონიერებისათვის საჭირო იყო დიდი მუშაობა და ენერგია. აუცილებელი შეიქნა წყლულების მოშუშება, დასვენება და მთელი ყურადღება აქეთკენ იქნა მიმართული

წითელი არმია თითქმის ასცდა ყურადღების ცენტრს, რომ უეცრათ გაისმა ამხ. ტროცკის ხმა: „ნუ შეასუსტებთ ყურადღებას წითელ არმიისადმი. ის თავდებია ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობისა, ის ძირითადი პირობაა ჩვენი შემდეგი გამარჯვებისა.“

დაიწყო ამ მიმართულებით გაძლიერებული მუშაობა. საბჭოთა მთელ ტერიტორიას მოეფინა სამხედრო სკოლების ქსელი.

ჩვენი სკოლაც სწორედ ამ დროს დაიბადა.



ქართულ მეთაურთა სკოლის სამხკომი ამხ **ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ.**

დაზგიდან, გუთნიდან მოვიდნენ მშრომელთა შვილები ჩვენს სკოლაში, რომ შეესწავლათ მეტად დიდი საპასუხისმგებლო საქმე.

ბევრი რამ აკლდა ჩვენს სკოლას პირველ ხანებში: არ იყო სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები, ფანქრები, უტანსაცმელობა და ხან შიმშილიც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მიუხედავად ამისა კურსანტები, მეთაურთა და მასწავლებელთა შემადგენლობა თავ-გამოდებით მუშაობდენ.

სკოლის მდგომარეობა, ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, გაუმჯობესდა.

სკოლამ ღირსეულად შეასრულა ორი ოპერაცია ხევსურეთის—ჩოლოყაშვილის ბანდიტების წინაამდეგ, გურიის ყაჩაღ-ბანდიტებისა და მათი მოკავშირე მენშევიკების წინაამდეგ. სკოლამ შესძინა ქართულ წითელ ლაშქარს ას რვა წითელი მეთაური. სკოლამ ეკონომიურ ფრონტზედაც ღირსეულად გაიმარჯვა. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა საქართველოს ყველა მშრომელებისაგან.

დღეს ჩვენი სკოლის 3 წლის არსებობის თავზე დარწმუნებული ვართ რომ წითელი არმიის დიად ისტორიაში სამხედრო სასწავლებლები და მათ შორის ჩვენი სკოლაც მონახავს საპატიო ადგილს.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს წ. უფშემადგენლობას!

ტი—შე.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

მუშურ-გლეხური წითელ ლაშქრის შექმნა, წითელ ყაზარმებში (ტერიტორიალური თუ მუდმივში) ქართველ მშრომელ ახალგაზრდობის გადამუშავება და ფართო მასსაში სამხედრო ხელოვნების დამკვიდრება (მით უმეტეს ტერიტორიალურ ნაწილებში) მოითხოვს ჩვენგან, როგორც საკმაოდ სპეციალურ-სამხედრო, ისე პოლიტიკურ ცოდნით აღჭურვილ მეთაურებს, რომელთაც შეეძლებათ ზემოხსენებულ ამოცანის შესრულება და სამხედრო საქმის ჯეროვან დონეზე დაყენება.

ეს უმთავრესი ამოცანაა სამხედრო მეთაურთა სკოლის და ამ საკითხის სწორი გადაჭრით—ჩვენც პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

სამი წლის განმავლობაში ჩვენმა სკოლამ 1922 წელში შესძლო მხოლოთ ერთი გამოშვების მოწყობა, რიცხვით სულ 108 კაცი, რომლებიდგანაც კომპარტიის წევრებს შეადგენენ 2,5 პრ., კომკავშირის—72,5 პრ., უპარტიო—25 პრ.

**ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ**

მუშა 3,5 პრ., გლეხი 93,0 პრ., სხვა 3,5 პრ.

წარმატება (12 ბალიან სისტემით) 10 ზევით—12 პროც. 9—10-მდე—22, 8—9-მდე—44, 7—8—22, როგორც ამ ციფრებიდან სჩანს წარმატებულები უმთავრესად საშვალო კვალიფიკაციისანი (მიზეზები: უსახსრობა, ლექციური სისტემა, მუდმივი ბინის ცვლა, სახელმძღვანელოების უქონლობა და სხვა).

პირველ გამოშვებას შედარებით სამხედრო დროის „დაჩქარებულებთან“ უფრო მეტი ცოდნა აქვთ, და ამ მხრივ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას ყოველ შემთხვევაში 90 პროცენტით მაინც.

ეს პირველი გამოშვება (კურს დამთავრებულები) ისევ იქნებიან მივლენილნი სამხედრო სკოლაში ნორმალურ კურსის გასავლელათ, რაც უფრო გაამაგრებს მათ მომავალ მუშაობისათვის.

1921 წელში სხვა და სხვა (უფრო სამოსწავლო) მიზეზების გამო გამოშვება არ ყოფილა.

ავიღოთ მომავალი გამოშვება (1924 წლის ენკენისთვეში):

**ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐ.**

კ. პ. წევრები 32 კაცი—23 პრ. კავშირის წევრ. 92—66 პროც. უპარტიო 17—11 პროც. წოდების მიხედვით: მუშა 10,2 პრ. გლეხი 83,0 სხვა 6,8 პროც.

წარმატების მიხედვით: შედარებით სკოლა უზრუნველყოფილია. მეთოდი ლაბარატორიული. შეფასება კვირეულების ჩაბარებით, მომავალი გამოშვება მეტად მაღლა სდგას წინანდელზე.

ამის გარდა მომავალში სკოლის შემადგენლობა უფრო მეტ აქტივს დაუგზავნის დივიზიებს და ამ მხრივ შეიძლება ითქვას რომ „ჩვენი წითელი სამჭედურის გრდემლი ტყვილათ არ ხრიალებს, მას მშვენიერად შეუძლია გამოწვრთნილი და სრულიად საიმედო მეთაურების და მასწ. მიცემა ჩვენი დივიზიებისათვის.

აი რით შეუძლია დაიკვეხოს ჩვენმა მუშურ გლეხურმა გაერთიანებულმა სამხედრო სკოლამ თავის არსებობის სამი წლის თავზე. მისი გამოზრდილი წითელი მეთაურები არ არიან „უპასუხისმგებლონი“ არამედ მუშურ გლეხური ოჯახიდან გამოსულ ღვიძლი შვილები და მათივე ინტერესების უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დამცველნი.

ს. **ბუაჩიძე.**



ᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲡ.

## Ქ. ᲙᲣᲠᲡ. ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ Წ. ᲗᲐᲕᲖᲔ.

1921 წლის მაისის დღეებში დაარსდა წითელ მეთაურთა მოსამზადებელი კურსები. ძნელია იმ პირობების წარმოდგენა, რომელშიაც მას მოუხდა მუშაობა პირველ ხანებში. კურსები შესდგებოდა სამ ნაწილისაგან: სამწყობრო, სამოსწავლო და სამნეოსაგან.

კურსებს არ გააჩნია საკუთარი ქონება, ის თხოულობს სხვა და სხვა დაწესებულებიდან საჭირო ნივთებს. მას აქ აქვს გადაზიდვის საშვალება, არ მოეპოვება სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. ამხ. იოსებ გედევანიშვილის დანიშვნა კურსების უფროსის თანამდებობაზე დაკავშირებულია კურსების მომავალ განახლებულ მუშაობასთან, რასაც ხელს უწყობს კურსების უფროსის სამხკომთან ამხ. დანელიასთან კონტაკტური მუშაობა. თანახმად სამხედრო სკოლის ბრძანებისა კურსებს ერქმევა: „ქართულ კურსანტების შეერთებული სკოლა“ ამ ენერგიულ მუშაობას შედეგად მოყვება სკოლის არსებობის საკუთარ საშუალებებზე გადასვლა.

სკოლას ემატება საარტილერიო განყოფილება, რომლის უფროსად ინიშნება ამხ. ქარუმიძე.

სკოლაში დაარსებულ კომ-უჯრედის პირველი ამოცანაა წერა-კითხვის უცოდინარის ლიკვიდაცია.

22 წლის პირველ თვეებში სკოლის პოლიტ-ცოდნის ხელმძღვანელად დაინიშნა ამხ. ბორის ძნელაძე რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის სკოლის წინაშე.

ინიშნება კურსანტების პირველი პოლიტ-გამწმენდი კომისია ამხ. კ. ბერეკაშვილის თავმჯდომარეობით.

15 მარტს სკოლის პოლიტ-განყოფილების და სამხედრო კომისრად ინიშნება ამხ. ტალახაძე.

სკოლა გადადის ცალკე კავკასიის არმიის სკოლების სამმართველოს გამგებლობაში.

ამ წელს მეთაურთა კურსებს ასრულებს 62 მეთაური თანახმად არმიისადმი ბრძანების სკოლას გამოეყოფიან კურსები და განაგრძობენ დამოუკიდებელ არსებობას. სკოლისადმი ბრძანებით საპატიო კურსანტებათ მიღებულნი არიან ამხ. სერგო ორჯონიკიძე, შ. ელიავა, კუზნეცოვი, ეგოროვი და პუგაჩოვი, რომელთა თავდადებულ მუშაობით იქმნა დღევანდელ სახამდე აყვანილი სკოლა. ამ წელს, ზაფხულზე, სუარმში საბანაკოდ ყოფნის დროს

სკოლამ იკისრა შეფობა სურამის მიდამოების სოფლებზე. სექტემბრის რიცხვებში სკოლას პირველად მოუხდა ოპერატიულ ამოცანების შესრულება. ის სურამიდან დაიძრა ავჭალისაკენ, რომლის მიდამოებში ამოძრავდენ ჩოლოყაშვილის ბანდები. აქ სკოლას საშუალება მიეცა თავისი რევოლიუციონური შეგნების და სამხედრო ცოდნის საქმეზე გამოჩენისა. პირველ ბრძოლაშივე ჩოლოყაშვილის ბანდები დამარცხებული იქმნა და სკოლა განაგრძობდა მის დევნას.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებულად თავი ისახელა ტყვიის მფრქვეველ გუნდმა ამხ. ჩიტაიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ ბრძოლაში სკოლამ სამართლიანად მოიხვეჭა საბჭოთა ხელისუფლების დამცველ გმირის სახელი, რის აღსანიშნავად დაჯილდოვებული არიან წარწერით „საქართველოს ლაშქრის წითელ გმირებს". რამოდენიმე გმირი—კურსანტები დააჯილდოვეს საჩუქრებით. წლის ბოლოს სკოლას ათავებენ 108 მეთაური. 1923 წლის მარტის და აპრილის რიცხვებში სკოლა მიემგზავრება გურიაში მენშევიკურ და ყაჩაღთა გამოსვლების ლიკვიდაციისათვის, რაც ყოველივე ქების გარეშე შესრულებული იქმნა. საქართველოს ცაკის დადგენილებით სკოლა ბრძოლებში თავგამოჩენისათვის დაჯილდოვებულია საპატიო რევოლიუციონურ წითელ დროშით. ზაფხულში სკოლის სამხედრო კომისრად ინიშნება ამხ. სოსო ბუაჩიძე, რომელიც თავის თანამდებობაზე დღესაც ენერგიულად მუშაობს.

სექტემბრის რიცხვებში ამხ. ბორის ძნელაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია სკოლისათვის. აქედან დაწყებული სკოლა განაგრძობს მშვიდობიანად ინტენსიურ მეცადინეობას ყველა დარგში. ნაცვლად ამხ. გრიგოლიასა, სკოლის უფროსის თანაშემწედ ინიშნება ამხ. ალექ. გედევანიშვილი.

დღეს სკოლა საბანაკოდაა, სადაც სწარმოებს გაცხარებული სამწყობრო მუშაობა.

ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა სკოლა დღიდან თავის არსებობის. უსურვებ მას მეტ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სადღეგრძელოდ.

— მსახიობი მაკო საფაროვ—აბაშიძისა. დამსახურებული, მცხოვანი მსახიობი ქალი მაკო საფაროვ-აბაშიძისა ამ ჟამად ავათ არის.

# სამხედრ. საქმე

## ქიმიური მოგერიება სამანევრო ბრძოლაში.

სამანევრო ბრძოლის პირველ დღეებში აირ-ბალონიანი იერიშისა და ქიმიურ ნალმტყორცნის სროლის წარმოება შეუძლებელია, ვინაიდან, იგინი მოითხოვენ წინასწარ მომზადებას და სასროლ მასალის დიდი ტვირთის ზიდვას. ქიმიურ ნალმებით სროლაც ნაკლებადაა შესაძლებელი.

სამანევრო ბრძოლის პირველ ხანებში არტილერიას დაუბრკოლებლივ შეუძლიან ქიმიურ ყუმბარით სროლა. აგრეთვე შესაძლებელია, განსაკუთრებულად ღამით, შხამიან კვამლით იერიშის წარმოება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამანევრო ბრძოლა ღებულობს ხანგრძლივ ხასიათს და მოწინააღმდეგენი სანგრების თხრას იწყებენ და ადგილობრივ მაგრდებიან, მაშინ ქიმიური ნალმტყორცნთა სროლა და აირ-ბალონიანი იერიშის წარმოების შესაძლებლობა იზრდება. სამანევრო ბრძოლა, თუ ღებულობს ხანგრძლივ ხასიათს, დაბოლოს საპოზიციო ბრძოლის პირობებში გადადის.

ამისდა მიხედვით მოგერიება, სამანევრო ბრძოლაში, თანდათანობით მიიღებს საპოზიციო მოგერიების ხასიათს.

სამანევრო ბრძოლის დროს შესაძლებელია ღრუბლიან იერიშის (შხამიან კვამლით) ჩატარება, რისთვისაც საჭირო იქნება ქიმიურ დაცვის ორგანიზაცია. ამ პირობებში ბრძოლის პირველ დღიდანვე უნდა მოეწყოს ამინდის თვალთვალის სამსახური, მეტეოროლოგიური წერტები მოწინავე ზოლში, რომელთა დანიშნულება უმთავრესათ იქნება ქარის მიმართულებისა და ძალაზედ თვალყურის დევნა.

ქიმიურ ყუმბარებით სროლა სამანევრო ბრძოლაში მოსალოდნელია. ვინაიდან ქიმიური ყუმბარებითა და ქიმიურ ნალმებით სროლის აღმოჩენა შესაძლოა მხოლოდ პირველ გამსკდარი ყუმბარის მიხედვით და ისიც არა ყოველთვის, ამიტომ წინასწარ საწინააღმდეგო ზომების მიღება შეუძლებელია.

საწინააღმდეგო ზომებათ ქიმიურ ყუმბარებით სროლისას, სამანევრო ბრძოლაში იმასვე ხმარობენ, რასაც საპოზიციო ბრძოლის პირობებში, ამიტომ ჯარის ნაწილებს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეთ ქლორის კირის საჭირო მარაგი და საერთო საპოზიციო ომის პირობებში სახმარი ყველა საშუალებანი.

თუ ბრძოლა მოსალოდნელია მეორე დღეს ამავე პოზიციაზედ, აირსავანეების და ნახევრად—დამცველ ბანსანგრების აშენებას უახლოეს ღამით უნდა შეუდგენ და უზრუნველყონ ნაწილები მოსალოდნელ სახიფათო შემთხვევებისაგან.

გ. ბ—შვილი.

# ახალი ამბები.

— **პურზე მტკიცე ფასები დარჩება.** შინა ვაჭრობის კომისარიატის განმარტებით პურზე არავითარი ფასების ცვლილება არ არის მოსალოდნელი, მიუხედავათ გვალვებისა წელს ზოგიერთ რაიონებში მაინც კარგ მოსავალს მოელიან.

— **სანატორიუმების გახსნა.** სანატორიუმებში საზაფხულო სეზონი წელს დაიწყება ივნისიდან.

— **წყალსადენი ნორიოში.** ამ ჟამად ცეკავშირი აწარმოებს მუშაობას სოფ. ნორიოში წყალსადენის გასაყვანად.

— **ხევსურეთის მილიცია.** საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ხევსურეთის მილიციის შესანახი ხარჯთაღრიცხვა 21.949 მანეთის რაოდენობით.

— **ბაზრებისა და სავაჭრო მოედნების აშენება.** ქალ. აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას გამონახოს საშუალებები ზოგიერთ ბაზარ—მოედნების შესაკეთებლათ და ახალის ასაშენებლათ.

— **სახლის გადაცემა პროფესორზე.** საქ. სახკომსაბჭოს მომართვის თანახმათ ქალ. აღმასკომმა დაადგინა მონახოს შესაფერი სახლი პროფ. მელიქიშვილისათვის გადასაცემათ.

— **სტუდენტები საპრაქტიკოთ.** საქ. სახკომსაბჭომ წინადადებით მიმართა მიწად-მოქმედების კომისარიატს, რომ გორის მაზრაში არსებული მამული „ქართლი" გადასცეს სახელმწ. უნივერსიტეტს, სტუდენტთა პრაქტიკისათვის.

— **ამბულატორიებში.** ქალ. ამბულატორიებმა მაისის თვის განმავლობაში სამკურნალო დახმარება გაუწიეს 83.542 მუშა-მოსამსახურეს.

— **ტვირთზიდვის ნიხრი.** შინა ვაჭრობის კომისარიატთან არსებულმა ბაზრის ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ გადასწყვიტა შემოიღოს ნიხრი ქალაქში ტვირთის გადაზიდვ-გადმოსაზიდათ.

— **საავადმყოფო რაჭაში.** რაჭის მაზრის ორი საექიმო პუნქტი და ქალ. ონის საავადმყოფო გადაყვანილია სახელმწიფო მომარაგებაზე.

— **კომუნისტურ უნივერსიტეტში.** კომუნისტური უნივერსიტეტის აკადემიური წიგნთ საცავიდან, აპრილიდან ივნისამდე გატანილია წასაკითხავათ 21.864 წიგნი. მკითხველთა რიცხვი შეადგენდა 16.755 კაცს.

— **დარაბების დათვალიერება** შინა ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა დაათვალიეროს ტფილისში ყველა დარაბები იმის გამოსარკვევათ თუ რამდენი დარაბა აქვს დაკავებული კერძო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

— **წიგნების გავრცელება სოფლად.** თანახმათ საქ. კომპარტიის მესამე ყრილობის დადგენილებისა, გლეხკომების ცენტ. ბიურომ გადასწყვიტა მოიწვიოს თათბირი იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთა საშუალებითაც უნდა მოგვარდეს წიგნების გავრცელების საქმე სოფლად.

## ხელოვნება.

— **თელავის სახალხო სახლი.** თელავის სახალხო სახლის საჭიროებისათვის თბილისის ქალ. აღმასკომმა გადასდო 300 მანეთი.

# მედიცინა და ტექნიკა

## ახალი მეცნიერული მიღწევები

ქირურგთა საზოგადოების უკანასკნელ სამეცნიერო სხდომაზე აღინიშნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიღწევა ამ დარგში, მიღწევა ისეთი, რომლის მნიშვნელობა პირდაპირ განუზომელია ქირურგიაში, ეკუთვნის ქ. კასტრომის ფიზიო-მექანიკურ ინსტიტუტის ექიმს, ა. გროზდევს. ექიმ გროზდევს აზრად მოუვიდა ცხოველის ქსოვილებში ელექტრონის საშვალებით შეეყვანა სამკურნალო პრეპარატის იონები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წესს სხეულის სახსრებისათვის.

მძიმედ დაზიანებულ სხეულის სახსრებს ეს წესი მკურნალობისა, არჩენს რამოდენიმე სეანსის მოხდენით.

თავის ქალის დაჭრით დაზიანების გამო ტვინის ქერქის გაფუჭებასაც ძლიერ უხდება იგი.

პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადმყოფების დროს, ამ ახალ აღმოჩენასაც საგრძნობი დადებითი შედეგები მოაქვს. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი შემთხვევები გასინჯული იყო კლინიკებში მუშაობის დროს, რაც მეტად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ცხლა საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, თუ რა არის თვითონ იონი, რომელზედაც დამყარებულია მთელი მკურნალობა. იონი, ეს წყლის დაშლის პროდუქტია. ელექტრონული ნივთიერების უმცირესი ნაწილია რაიმე ხსნილში, რომელიც დატენილია ელექტრობით.

როდესაც წყალს ვხსნით მის შემადგენელ ნაწილებათ ელექტრონის საშვალებით და ამნაირად ელექტრობა უკვე მოქმედებს, წყალში დაიწყება სხვა და სხვა ელექტრობით დატენილ იონების მოწინააღმდეგე მიმართულებით მოძრაობა. ამნაირად იონი ტერაპიული მკურნალობა იმაში მდგომარეობს, რომ დაზიანებულ ადგილზე სამკურნალო პრეპარატის დადებით დაიწყება, სამკურნალო იონების ჩასვლა სხეულის კანის ნახვრეტებში და ასეთი წესით ხდება ავადმყოფობისაგანა განკურნება. ელექტრო იონური ხერხი როგორც სამკურნალო ხერხი და ისიც ადგილობრივი ხერხი, დიდი უპირატესობისაა, იმ მხრივ, რომ მისი მეოხებით რჩება ისეთი დასნეულების ფორმები, რომელთაგან განკურნვა აქამდე ყოვლად შეუძლებელი იყო. ქირურგიაში ამ მიღწევას ძლიერ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და ამ მეცნიერების წინაშე იხსნის სრულიად ახალ გზებს და ახალ ჰორიზონტებს.

შეიხ.


იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა წითელ ჯარში ახლად გაწვეულთათვის მეტად საინტერესო წიგნი (კრებული).

# წითელ არმიელის სახელმძღვანელო.

კრებულში მოთავსებულია საუბრები ყველა კითხვებზე, რომელიც კი აინტერესებს წითელ არმიელს, არის აგრეთვე რჩევა-დარიგება და მრავალი სხვა, რომელიც უნდა იცოდეს ყოველმა წითელ არმიელმა.

გამოცემა: რ. ა. კ. კ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის.

ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

# „კრასნაია ზვეზდა"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.